პურეულს მკიან ზემო ქედელები

შარშან ფერონტით მიმდინარეობს პურეულის აღება წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობაში. თავთავიან კულტურებს აქ 2.800 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. ჯეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარიანი ნამუალოდ ჰექტარზე 24 ცენტნერ მარცვალს იღებენ.

მკის ორ ნორმას ასრულებს დღეში კოლმეურნეობის მოწინავე კომბაინერი გეორგი მელიქიშვილი. მამის გვერდით მისი ვაჟიშვილი ვახტანგი შრომობს. იგი კომბაინის საჭეს უჭირავს. კომბაინის „ოჯახური" ეკიპაჟი სათავეში უდგას კოლმეურნეობის ჰექტარიანი შორის გაშლილ შეჯიბრებას. სურათებზე: ზემოთ — პურეულის აღება სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობაში; ქვემოთ — მოწინავე ჰექტარიანი გიორგი და ვახტანგ მელიქიშვილები.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქფოტოს ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 ივლისი ოთხშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 152 (14756)

ᲞᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ!

ᲯᲮᲚᲐᲮᲐᲜ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1970 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ". ეს დადგენილება მხვნელ-მთესველთა საპროგრამო დოკუმენტია. მასში განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით შესაძლებლობა გვექნება დროულად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესყიდვის დავალება, უზრუნველვყოთ მოსავლის დაბინავება.

როგორც ცნობილია, თავთავიანი მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებაში გადამწყვეტი სიტყვა ჩვენს სახელოვან მექანიზატორებს, კომბაინერებს, მეშტურვალეებს ეკუთვნით. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დასახულია მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი. დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ კომბაინის აგრეგატების სხვა მუშაკებს მიეცემათ მარცვლეული: ტრაქტორზე მომუშავე მემანქანე ტრაქტორისტს კომბაინზე მომუშავე კომბაინერისათვის დარიცხული მარცვლეულის ოდენობის 80 პროცენტი, კომბაინერს თანაშემწესა და შოფერს — 70 პროცენტი თვითეულს და მებულულეს — 50 პროცენტი.

საუცხოო პირობებია აგრეთვე შექმნილი მინდვრად მომუშავე სხვა სპეციალისტებისა და მხვნელ-მთესველებისათვის. პარტიისა და მთავრობის ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ერთხელ კიდევ იმაზე მეტყველებს, რომ მექანიზატორებს, მინდვრად მომუშავეებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა ნორმალური და მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი გორელთა, ზუგდიდელთა და სიღნაღელთა თაოსნობას — ღირსეულად შეეხვედეთ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს, მოვიპოვოთ ახალი შრომითი გამარჯვებანი სამშობლოს სასახელოდ. მხვნელ-მთესველებს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ბევრი საზრუნავი აქვთ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საფუძველზე სხვა პროდუქტებთან ერთად სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 90 ათასი ტონა მარცვლეული ნაცვლად 70 ათასი ტონისა. მართალია, წელს ჭირვეულმა ამინდმა ზოგან პურეულის ნათესები საგრძნობლად დააზიანა. ამის გამო ნაკვეთები გადაიხნა და დაითესა სიმინდი. მაგრამ სადაც მოსავალია, მას აღება და დროულად დაბინავება ხომ უნდა, როგორც ხალხური ანდაზა ამბობს, „მოსპალი ის არის, რაც ბეღელშია".

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მკა ყოველდღიურად ჩაღდება, სახელმწიფო ბეღლებისაკენ მიემართებიან ახალი მოსავლით დატვირთული კოლონები. ამასთან მარცვლეულის დანაკლისის შესავსებად კარგად უჭლიან სიმინდის ნათესებს.

საქართველოს პურის ბეღელს ტყუილად როდი უწოდებენ წითელწყაროს რაიონს. გაზაფხული არახელსაყრელი იყო, ამან პურეულის მოსავლის სიუხვეს დიდად შეუშალა ხელი, მაგრამ აქაური მხვნელ-მთესველები ყველაფერს აკეთებენ, რომ გვალვისა და მინდვრის მავნებლებისაგან დაზიანებული ათასზე მეტი ჰექტარი ფართობი გამოიყენონ სიმინდის მოსავლის მისაღებად. ამასთან რაიონში ახლა უკვე, ვიდრე ოდესმე, იბრძვიან იმისათვის, რომ არ დაკარგონ არც ერთი კილოგრამი პურეულის მოსავალი, სანიმუშოდ მოუარონ სამარცვლიდ გამოყოფილ სიმინდის ნათესებს.

სიღნაღელ მხვნელ-მთესველთა მიერ გატარებულ აგროღონისძიებათა მიუხედავად, გვალვის გამო ათასობით ჰექტარი პურეული დაიღუპა. პარტიის რაიონხელმა კომიტეტმა შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა. პურეულის დანაკლისის შესავსებად სიმინდი დაითესა 3.508 ჰექტარზე ნაცვლად 1.570 ჰექტარისა.

საქმე ეხება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს. ახლა პატარა შეცდომაც კი მოსავლის დიდ დანაკარგს გამოიწვევს. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ყოველივე ეს წინასწარ უნდა მოიფიქრონ და გაითვალისწინონ. მეტად საჭიროა ვიზრუნოთ თვითეული ასაღები აგრეგატის მომსახურე კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის. მექანიზატორებს შევუქმნათ ყველა პირობა მაღალნაყოფიერი მუშაობისა და კარგი დასვენებისათვის. პარტიული კომიტეტები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან სწორად განსაზღვრონ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების წესი, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სისტემა.

მოსავლის წარმატებით აღება მარტო მინდვრის მშრომელთა საქმე რჩება. ეს არის საყოველთაო-სახალხო საზრუნავი. სოფლის კომუნისტების, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ვალია ღრმად განუმარტონ მშრომელებს პარტიისა და მთავრობის დადგენილება, გააცნონ ყველას, ვინც მონაწილეობას მიიღებს მკაში, სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის საქმეში.

პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირების, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ სათავეში ჩაუდგნენ მასების პატრიოტულ და შრომითს აქტივობას, ყოველი ღონისძიებით სრულყონ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, უხელმძღვანელონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას, უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, საჭირო რაოდენობით დაამზადონ საკვები, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის დავალებები, ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს.

მთელი ძალები — მოსავლის ასაღებად

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, „სოფლტექნიკის" რაიონული განყოფილებებში, დამამზადებელ ბაზებში, სატრანსპორტო მეურნეობებში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას **„1970 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ"**. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებათა განხორციელება დაეხმარება სოფლის მშრომელებს სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მარცვლეულის დამზადების გეგმები.

ყველგან პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ დადგენილებას, რომელიც მოწმობს, რომ პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ მიწათმოქმედთა შრომისათვის, სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ქვეყნის მოთხოვნილება სურსათისა და მრეწველობის საჭირო ნედლეულზე.

მკა ყოველდღიურად სულ უფრო ჩაღდება, სახელმწიფო ბეღლებისაკენ მიემართებიან ახალი მოსავლის მარცვლეულით დატვირთული ავტოკოლონები. მარცვლეული დიდ მასივებზე უკვე აღებულია წითელწყაროს რაიონის სოფლების არაბიოლოსკალოს, ზემო მაჩხაანის, ზემო ქედისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში. მარცვლეულის მოსავალს წარმატებით აღებენ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობაში. ყვარლის რაიონის სოფელ შიღლის კოლმეურნეობაში, გორდაბნის, ბურჯანასის და სხვა რაიონების მთელ რიგ მეურნეობებში. მთელი ძალები დარაზმულია იმისათვის, რომ სწრაფად მომკან, მარცვლეული აიღონ უდანაკარგოდ და შეინახონ სამშობლოს ბეღლებში.

მოსავლის აღების დასაწყისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 70 მარცვლეულს და 20 სიმინდის ასაღები კომბაინი, 200 სილოსის ასაღები მანქანა, ბევრი სხვა ტექნიკა. მოსავლის ასაღები კომბლექსის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი უბანია ტრანსპორტის კარგად აწყობილი მუშაობა. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული მკის რიტმიც, დამზადების ტემპიც, პროდუქციის ხარისხიც. რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და „საქსოფლტექნიკის" ავტოსატრანსპორტო კანტორები მოწოდებული არიან უზრუნველყონ ავტომანქანების ზუსტი მუშაობა, მათი ფართო მანევრირება. ალოგობაზე თავმოყრილია სატრანსპორტო საშუალებათა დიდი ძალები. „საქსოფლტექნიკის" მახარაძის ავტოსატრანსპორტო კანტორიდან წითელწყაროს რაიონში მარცვლეულის გატანაზე მუშაობს 900 ავტომანქანა. ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კანტორიდან ყვარლის რაიონში კოლმეურნეობებისათვის დასახმარებლად თავიანთი მანქანებით გაემგზავრნენ საუკეთესო მძღოლები.

„საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილებებისა და ავტოსატრანსპორტო კანტორების მანქანებით გადაქვთ ლაგოდეხის, ყვარლისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში მოწეული მარცვლეული. ერთ რაიონში საშუალოთა დამთავრების შემდეგ მანქანები გადადგენენ მეორე რაიონში, სადაც მოსავლის აღება მოგვიანებით იწყება, მარცვლეულის აღებაზე დასაქმებულია „საქსოფლტექნიკის" ათი სარაიონთაშორისო ავტოსატრანსპორტო კანტორის ყველა მანქანა. გარდა ამისა, „საქსოფლტექნიკა" უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრანსპორტს შეუფერხებელ მუშაობას. შექმნილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის ცენტრალიზებული ტექნიკური მომსახურების საადგურების განშტოებული ქსელი.

უზრუნველყოფენ მარცვლეულის დროულ მოღებასა და სუფთა შენახვას. (საქდესი).

მწყობრში — ახალი ქიმიური საწარმო

მიღებულია ქართული კარბამიდი — ძვირფასი მინერალური სასუქი

□

გუშინ მწყობრში ჩადგა დიდი ქიმიის ახალი ობიექტი — რუსთავის ქიმიური კომბინატის კარბამიდის წარმოება. მიღებულია ქართული კარბამიდი — იშვიათი მინერალური სასუქი, რომელსაც ნიადაგის გასანოყიერებლად და მავნებელთა გასანადგურებლად იყენებენ.

ათასობით ტონა მინერალური სასუქი — ასეთი იქნება ქიმიური საწარმოს წლიური წარმადობა.

კარბამიდის საწარმოს მშენებლობა მილიონობით მანეთი დაჯდა. გაუვანილ იქნა უამრავი მიწასაზიდი და მიწისქვეშა კომუნიკაციები, აშენდა წყლის მიმოქცევის ციკლი, გადამუშავებისა და დისტილაციის კოშტუსები, გაზგამდერი, საყოფაცხოვრებო სათავსები, დამონტაჟდა ასობით რთული საკონტროლო-საზომი ხელსაწყო.

რუსთაველ ქიმიკოსებს ჩვენი ქვეყნის მა ქარხანა უგზავნიდა დანადგარ-მოწყობილობას, სამშენებლო მასალებს.

საწარმოს პროექტი შეადგინა აზოტის მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტის ძერჟინსკის ფილიალმა.

კარბამიდის მიღებისა თვის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს ამიაკი წარმოადგენს. ამიტომ აქ ჯერ კიდევ შარშან ააშენეს ამ პროდუქციის საამქრო. კარბამიდის მისაღებად ააგეს სპეციალური საქანაე მეურნეობა.

მშენებლობაზე 22 მოიჯარე და ქვემოიჯარე ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას. აქედან განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს ქიმმრეწვის, საქმეკანსპეცმონტაჟის, კაველექტრომონტაჟის, ავტომატიკის, სპეცშენის, ტრანსსპეცშენის, თერმოფოზოლაციის და სხვა სამმართველოებმა (უფროსები კ. ფალება, ა. კიკნაძე, ჯ. ცხადაშვილი, ი. ყოჩიაშვილი, დ. ცერცვაძე, ნ. კირვალიძე, გ. ჩიჩუა).

გუშინ ქართველმა ქიმიკოსებმა ახალი ქიმიური პროდუქციის მიღება იზეიმეს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

31 ივნისს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა რუსეთის სფსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია.

დილის 10 საათია. პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, რუსეთის ფედერაციის მთავრობის წევრები, რომლებსაც დეპუტატები და სტუმრები სანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სესია გახსნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. დ. მილეოსნაჩიოვმა.**

სესიის განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. რუსეთის სფსრ ადგილობრივი მრეწველობის მუშაობა.
2. რუსეთის სფსრ მიწის კოდექსის პროექტი.
3. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ვ. კ. უსპენსკიმ. (საკდესი).

□

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი იუწყება, რომ 1970 წლის 1 ივლისიდან.

— იზრდება შამპანურისა და კონიაკის, ხე-ტყის მასალისა და ფანჯრის მინის სახელმწიფო საცალო ფასები:

— მცირდება დიაგონალით 35-47 სანტიმეტრი ზომის კინესკოპიანი ყველა მარკის ტელევიზორის, მამაკაცის, ქალისა და ბავშვის კაპრონისა და ელასტიკური ძაფის წინდების, მამაკაცის კაპრონის იმპორტული ტრიკოტაჟის ტიოლს პერანგებისა და თხვადი და პასტისებრი სინთეზური სარეცხი საშუალებების სახელმწიფო საცალო ფასები.

თბილისი სსრ კავშირის მინისტრთა საქმეთა სამინისტროში

29 ივნისს მოსკოვში გაიმართა **სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი.** თათბირში მონაწილეობდნენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრები, შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსები.

მოხსენება სამართალდამრღვევთა ხელახალი აღზრდის, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ნ. ა. შჩოლოკოვმა.** (საკდესი).

ᲑᲣᲠᲣᲜᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲑᲣᲠᲣᲜᲓᲘ, 30 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ევსეევი გვატყობინებს:

დამოუკიდებლობის მე-8 წლისთავს აღნიშნავს 1 ივლისს აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფო — ბურუნდის რესპუბლიკა.

ბურუნდიმ, რომელიც წარსულში მძლავრი სამეფო იყო, მიმდინარე საუკუნის დამლეგს დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა. 50 წლის მანძილზე ეს პატარა ქვეყანა გერმანიის კოლონია იყო, შემდეგ კი ბელგიის „სამანდატო ტერიტორია". ამ წლების მანძილზე ბურუნდელი ხალხი განუწყვეტლივ იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგად 1962 წლის 1 ივლისს ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური თავისუფლება, ხოლო ოთხი წლის შემდეგ დაამხო მონარქისტული რეჟიმიც.

ადგილი არ ყოფილა ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის განვლილი 8 წელი. მას უნდა დაეძლია კოლონიზატორთა ნახევარსაუკუნოვანი ბატონობის მძიმე მემკვიდრეობა: დაეძლია ეკონომიური ჩამორჩენილობა, მიეღწია პროგრესისათვის მოსახლეობის განთლებისა და სამედიცინო მომსახურების დარგში.

ბევრ დარგში ბურუნდიმ განახორციელა პირველი წარმატებითი ღონისძიებანი: სრულდება ეკონომიური განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, ფართოვდება სკოლებისა და საავადმყოფოების ქსელი, იქმნება და მტკიცდება სავაჭრო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ფართოვდება საერთაშორისო ურთიერთობა, მათ შორის საბჭოთა კავშირთან, რომელიც თანმიმდიგრულად უჭერდა მხარს ბურუნდელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ბურუნდის დამოუკიდებლობის დღესასწაული ემთხვევა ყაყის — ქვეყნის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — მოსავლის აღების სეზონს. წელს აქ ყაყის უხვ მოსავალს მოელიან. ეს კი ნიშნავს, რომ განმტკიცდება ქვეყნის ფინანსები, ამაღლდება ხალხის ცხოვრების დონე, გადაიდგმება კიდევ ერთი ნაბიჯი ახალი ცხოვრების მშენებლობის გზაზე.

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 30 ივნისი. (საკდესი)- გუშინ დღის პირველ ნახევარში ისრაელის ავიაცია კვლავ არა ერთხელ შეეცადა იერიში მიეტანა ეგვიპტის შეიარაღებული ძალების პოზიციებზე სუეცის არხის ზონის სხვადასხვა რაიონში, აგრეთვე ქალაქ სუეცის სამხრეთით. ამ ცდებში, რომლებიც გრძელდებოდა 9 საათსა და 30 წუთიდან და 14 საათსა და 16 წუთამდე ადგილობრივი დროით, მონაწილეობდა ისრაელის „ფანტომისა" და „სკაიჰოკის" 28 თვითმფრინავი, ნათქვამია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც მენის საagენტომ გამოაქვეყნა. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მოწინააღმდეგის ავიაციის მოქმედება ჩაშალეს ეგვიპტის საჰაერო დაცვის ძალებმა. ეგვიპტის მხარეს არავითარი ზარალი არ მოსვლია.

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘ

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ, 30 ივნისი. (საკდესი). ამერიკის მონოპოლიათა ბატონობა ვენესუელის ეკონომიკაში სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნის განვითარებას, ნათქვამია ვენესუელის კომუნისტური პარტიის საპროგრამო თეზისებში, რომლებიც აქ გამოქვეყნდა. თეზისებს განიხილავს ვენესუელის კომუნისტთა მე-4 ყრილობა, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის დამლეგს.

თეზისებში დაწერილებით გაანალიზებულია ქვეყნის მდგომარეობა და ნიჩვენებია „ეკონომიკის განვითარების ჩამორჩენისა და ცალმხრივობის მიზეზები.

თეზისებში ხაზგასმულია რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიური კომისიის მონაცემებით, ამერიკის „კაპიტალის მოგება ვენესუელაში მარტო ერთ წელიწადში შეადგენდა მთელ კონტინენტზე მიღებული მთელი მოგების 36 პროცენტს.

დასასრულ ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ხალხის ფართო მასებს, ყველას ვისაც სურს წვლილი შეიტანოს სამშობლოს განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში, შეეგიდეს კომპარტიის რიგებში, შეკავშირდეს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით.

ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

ნახატი ამერიკულ გაზეთ „დეილი უორლდიდან".

ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲔᲒᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 ივნისი. (საკდესი). ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ — „ᲙᲣ-ᲙᲚᲣᲥᲡ-ᲙᲚᲐᲜᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲘ", რომელიც ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

„ორგანიზაციის წევრთა რიცხვი სწრაფად იზრდება", — განაცხადა „იმპერიის მოგვმა" რობერტ შელტონმა „კლანის" ყოველწლიური ყრილობის დამთავრების შემდეგ, რომელიც მიმდინარეობდა ქალაქ სოლსბერიში, ჩრდილოეთ კაროლინის შტატში.

„კუ-კლუქს-კლანის" ბელადმა გამოაცხადა „თავდაცვის" პროგრამის შემუშავება, რომლის საბაბითაც რასისტები მოაწყობენ რბევებს და ტერორს ნაწილებისა და „სხვადასხვაგვარად მოაზროვნეთა" წინააღმდეგ.

ორგანიზაციის ხელმძღვანელთა გეგმებში შედის აგრეთვე კაცთმოძულეობის იდეების პროპაგანდა მოსახლეობაში. „იმპერიის მოგვმა" განაცხადა: „რათა გაადვილოს ამერიკა მარცხნიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ", „კლანის წარმომადგენელნი აპირებენ ტრიბუნად გამოიყენონ ამერიკის ტელევიზია. „კუ-კლუქს-კლანის" წევრები მომზადებული არიან იმისათვის, რომ აჩვენონ „ფილმები კომუნისტების, „ბუნტობისა და იმათ შესახებ, ვისაც სურს მოსპოს თეთრკანიანი ადამიანები", განაცხადა თავზეხელაღებულ რასისტთა წინამძღოლმა.

შელტონმა არ დაასახელა ორგანიზაციის რიცხობრივი შემადგენლობა და მხოლოდ განაცხადა, რომ სოლსბერის ყრილობას ესწრებოდა „ორი ათასამდე დელეგატი".

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

მსოფლიო დღეს

შეწყდეს აგრესია!

საპროტესტო გამოსვლები

ვაშინგტონი, (საკდესი). მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აგრეთვე ინფლაცია, რომელიც გრძელდება, ამერიკელთა მზარდ უკმაყოფილებას იწვევს, განაცხადა სენატორმა მ. მეტფილდმა რადიოსატელევიზიო კომპანია „მეტრომედიის“ პროგრამით გამოსვლისას. თუ არ შეწყდა ვიეტნამის ომი და ინფლაცია, ნიქსონი დარჩება უმომხრეებოდ, აღნიშნა მეტფილდმა.

შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს ვიეტნამი, განაცხადა სენატორმა-დემოკრატმა კლეიბორნ პელმა. ჩემი აზრით, ხაზგასმით აღნიშნა მან, არსებობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან წასვლის მხოლოდ ერთი ხერხი. ეს არის იმ ფაქტის აღიარება, რომ ჩვენი ომი ამერიკის ერთვნული ინტერესებისა და ეკონომიკისათვის მიუღებელი ზარალი ომის შედეგად. ბევრად აღემატება საეჭვო უპირატესობებს, რომლებიც მივიღეთ სამხრეთ ვიეტნამის თხიუ-კის გამყოფველი არაკომპეტენტური მთავრობის მხარდაჭერით.

დიალოგი მწვავე პრობლემებზე

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სესია

ვაშინგტონი, 30 ივნისი. (საკდესი). აქ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე მიმდინარეობს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია, რომელიც მოწვეულია ამ ორგანიზაციის ახალი წესდების დებულებათა დასამტკიცებლად. სესიაზე აგრეთვე შეიქმნება საბჭოები პოლიტიკურ საკითხთა, სოციალურ-ეკონომიურ პრობლემათა და კულტურისა და. მეცნიერების საკითხთა საბჭოები. ეს ახალი ორგანები, როგორც ლათინური ამერიკის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რამდენადმე ხელს შეუწყობენ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გადაწყვეტილ მწვავე სოციალური, ეკონომიური, სავაჭრო და ფინანსური პრობლემები, რომლებსაც სულ მუდამ აწყდებიან ლათინური ამერიკის ქვეყნები.

სწორედ ამ საკითხებს მიაპყრო დამსწრეთა უურადღება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გალო პლასამ. სესიის გახსნისას მან განცხადა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები შეერთებული შტატების კაბალაში იმყოფებიან და იძულებული არიან გადაუხადონ უდიდესი თანხა „დახმარებისათვის“ პროცენტების სახით.

პერუს საგარეო საქმეთა მინისტრმა მერკადო ხორხმა გააკრიტიკა ვაშინგტონის ის პოლიტიკური და სამხედრო ზემოქმედება, რომელსაც სამხრეთელ მეზობლებზე ახდენს. მან დაიცვა კუბის ეროვნული სუვერენიტეტი და დაგმო ბოიკოტის პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები თავს ახვევს სხვა ქვეყნებს. მინისტრმა წინადადება შეიტანა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ განუახლოს „ძმური, პატივისცემით აღსავსე და კონსტრუქციული / დიალოგი“ კუბასთან.

ძნელი მოლაპარაკება

ლუქსემბურგი, 30 ივნისი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა მეროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს ერთდღიანი სესია, რომელიც სავალუტო საკმეთა მინისტრების დონეზე მიმდინარეობდა. სესიის დღის წესრიგის ძირითადი პუნქტი იყო საერთო ბაზრის მოლაპარაკება ინგლისთან, ირლანდიასთან, დანიასთან და ნორვეგიასთან, რომლებმაც განაცხადეს სურვილი შეუერთდნენ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას. მოლაპარაკება დღეს დასრულდა.

აქ მიაჩნიათ, რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანებისა და კანდიდატ ქვეყნების წარმომადგენლთა დღეგანდელი სხდომა მნიშვნელოვანწილად საოქმო ხასიათისა იქნება. ძირითადი დისკუსიები გაიმართება შემდგომზე. ამასთან ვარაუდობენ, რომ მოლაპარაკება ინელი და ხანგრძლივი იქნება.

აქვე გაიმართა აგრეთვე საერთო ბაზრის, (რომელშიც შედიან საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი) ექვსი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრთა სესია. მინისტრები განიხილავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ექვსი ქვეყნის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის შექმნასთან. ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ მათ, როგორც იქნა, შეთანხმება სელის ერთიანი ბაზრის შექმნის საკითხი, რომლის გადაწყვეტა დიდხანს არ ხერხდებოდა დაჯგუფების მონაწილეთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამო. მაგრამ „ექვსეულის“ მინისტრებმა მაინც ვერ მოაწესრიგეს თევზეულის ერთიანი ბაზრის შექმნის საკითხი. ამ საკითხზე მოლაპარაკება გადაიდო საერთო ბაზრის ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრთა შემდეგ სხდომამდე.

მშვიდობის მანიფესტაცია

პრაღა, 30 ივნისი. (საკდესი). ჩრდილოეთ ჩეხიის ოლქის ათასობით მშრომელი მონაწილეობდა სოციალისტურ ქვეყნებთან მშვიდობისა და მეგობრობის მასობრივ მანიფესტაციაში, რომელიც გოუშტკის რაიონში გაიმართა. მანიფესტაციაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ინდრა.

მშვიდობა, ხაზგასმით აღნიშნა მან, — მთელი კაცობრიობის უძვირფასესი კუთვნილებაა. სწორედ ამიტომ ნამდვილ მშვიდობიან ცხოვრებას უნდა ეუბადლოდეთ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირს, მისი ჯარისკაცების უშიგალითო გმირობას.

სამუშაოები მთავრდება

კაირო, 30 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ა. კისლოვი იუწყება:

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მთლიანად დამთავრდა 500,220 და 132 კილოვოლტი ელექტროგადამცემი ბასების მშენებლობა, რომლებიც ასუანის მაღლივი ჰიდროელექტროსადგურის კაშხალს დაუკავშირებენ ქვემო ეგვიპტეს, აგრეთვე შესაბამის ქვესადგურებს. ყველა ობიექტი მუდმივ საექსპლოატაციოდ არის გადაცემული და მყარად მუშაობს.

დასასრულს უახლოვდება ასუანის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის შექმნის სამუშაოები. 27 ივნისს საექსპლოატაციოდ გადასცეს ჰიდროელექტროსადგურის მეთერთმეტე ტურბინი. მთავრდება მეთორმეტე, უკანასკნელი აგრეგატის მონტაჟი.

ეს იმის მტკიცე რწმენას გვაძლევს, რომ ასუანის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის ყველა ძირითადი სამუშაო მთლიანად დამთავრდება 1970 წლის ივლისში, ესე იგი საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მთავრობათაშორისი შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვადებზე მნიშვნელოვნად ადრე.

მტკიცდება მეგობრობა არაბულ ქვეყნებთან

თბილისი. ქართველ მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა, კულტურის მუშაკთა, სამრეწველო საწარმოებისა და კოლმეურნეობების წარმომადგენელთა ჯგუფმა წინადადება წამოაყენა შეიქმნას არაბულ ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების საქართველო.

30 ივნისს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გაიმართა საორგანიზაციო კრება, რომელიც სინიციატივო ჯგუფმა მოიწვია.

კრება გახსნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. მელაძემ. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები მეგობრულად და გულითადად ეკიდებიან არაბ ხალხებს. ისინი ეროსულოვნად და მხურვალედ უჭერენ მხარს ყველაფერს, რასაც ჩვენი მთავრობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებენ, ჩვენი ქვეყნის ყველა ღონისძიებას, რომლებიც მიზნად ისახავენ არაბი ხალხების დაცვას ისრაელისა და მისი სულის-ჩამდგმელების აგრესიის წინააღმდეგ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა გ. წერეთელმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბულ ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების შექმნა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოსა და არაბულ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობისა და კულტურული თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცებაში. საზოგადოების გაყოფილება ხელს შეუწყობს ისტორიის, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ყოფაცხოვრების ურთიერთგაცნობას, ფართო საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენელთა ძმური ინფორმაციის, ახალი, მარქსისტული ტიპის პარტიის — ბოლშევიკების პარტიის საუკეთესო ძალთა მოკრების პროცესი. წარმოებს რუსეთის რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამუშავება. ბოლშევიკების პარტიის შემქმნელი ვ. ი. ლენინი ბეშმარიტად ტიტანურ სამუშაოს ასრულებს იმპერიალიზმის ეპოქაში მსოფლიო რევოლუციის გზების განსაზღვრისათვის.

სად იყო ამ პერიოდში ტროცკი? იგი ვ. ი. ლენინს ბრძოლებსა, მენშევიკებთან ერთად იყო. სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას მან დაუპირისპირა „მერმანენტული რევოლუციის“ თავისი კაბიტულანტური „თეორია“, შენიღბა „ულტრა“ საიდუმლო მასალები არ გამოექვეყნებინათ 1980 წლამდე და არ მიეცათ გასაცნობად ისტორიკოსებისათვის.

გადავფურცლოთ უფრო ადრინდელი ისტორიის რამდენიმე გვერდი და გავიხსენოთ, თუ როგორ აპირებდა ტროცკი შეექმნა ეს თავისი ორგანიზაცია, რომელმაც ნომერ პირველ ამოცანად გამოაცხადა ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ, კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

1903-1917 წლები... რუსეთში მიმდინარეობს კონსოლიდაციის, კაცობრიობის ისტორიაში პირველი, ახალი, მარქსისტული ტიპის პარტიის — ბოლშევიკების პარტიის სასიცოცხლო ძალთა მოკრების პროცესი. წარმოებს რუსეთის რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამუშავება. ბოლშევიკების პარტიის შემქმნელი ვ. ი. ლენინი ბეშმარიტად ტიტანურ სამუშაოს ასრულებს იმპერიალიზმის ეპოქაში მსოფლიო რევოლუციის გზების განსაზღვრისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამდე რამდენიმე თვის წინ, 1917 წლის მაისში, ტროცკიმ განაცხადა, „მე ვერ მომთხოვთ“ ბოლშევიზმის აღიარებასო. მაგრამ ზუსტად სამეოდე კვირის შემდეგ, იმის შიშით, რომ „მატარებელზე დაგვიანდებოდა“, ბოლშევიკების ყრილობას მიმართა თხოვნით პარტიაში მიღების შესახებ. საკუთარი სიტყვების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ის იყო წარმოთქვა, მან განაცხადა, რომ ეთანხმება ბოლშევიზმის ყველა დებულებას.

ეს მორიგი შანდი იყო „ეიდა ტროცკისა“, რომელიც მას ოდესღაც მარქსიზმ შეარქვა ვ. ი. ლენინმა. მან პარტიაში ყოფნა გამოიყენა ლენინიზმზე შეტევის ახალი მორიგი ტურის უფრო ხელსაყრელი პოზიციების მოსაპოვებლად.

პირველ ხანებში ეს იყო „დაზვერვა ბრძოლით“ (1918 წელს — ბრესტის ზავის დადების საკითხზე, 1920-21 წლებში — დისკუსიები პროფკავშირების შესახებ), ხოლო ვ. ი. ლენინის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით მისი სიკვდილის შემდეგ ტროცკიმ დაადწყვიტა, რომ ახლა კი „დაკერა მისმა ჯამმა“, და ფრონტალური იერიში წამოიწყო ლენინიზმის წინააღმდეგ.

ოციანი წლები... შინაგან და გარეგან კონტრრევოლუციასთან საბჭოთა-სასიცოცხლო ბრძოლაში გაბრაზებულმა, დასუსტებულმა, მაგრამ ქედმოუხრელმა საბჭოთა რუსეთმა შაშანაბა ბარითა და წერაქვით შეიარაღა, დანგრეულის აღდგენასა და ახლის აშენებას შეუდგა. პარტიაკურსს იღებს სოციალისტურ შენებლობაზე. იგი ხელმძღვანელობს ლენინის ანდერძით, რომ საბჭოთა რუსეთში ყველაფერია, რაც კი საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. ტროცკისტული თეორია „მერმანენტული რევოლუციისა“ ხდება პლატფორმა სულ სხვადასხვა ჯურის ძალთა გასაერთიანებლად, რომლებიც ილაშქრებდნენ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის წინააღმდეგ. ტროცკი ცოფებსა ყრის, პარტიას ბრალად სდებს „მარქსიზმისაგან ჩამაშორებ ბას“, „ეროვნულ შეზღუდულობას“, „პოლიტიკურ სიბრმავეს“.

ისტორია საუკეთესო მასწავლია. მან დაადასტურა პარტიის ლენინური პოლიტიკის სისწორე. კაცობრიობამ მიიღო რეალურად არსებული სოციალისტური საზოგადოება, საბჭოთა კავშირის გამოცდილება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძვირფასი კუთვნილება გახდა. და განა შესაძლებელი იქნებოდა კაცობრობის ხსნა ფაშისტური მონობისაგან, რომ არ ყოფილიყო პოლიტიკურად მოხლეთური საბჭოთა კავშირი თავისი მძლავრი, მაღალგანვითარებული სოციალისტური ეკონომიკით? კომუნისტური მოძრაობის გარდაქმნამ თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან ძალად, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ, გაჩაღებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ფეხნიერული სოციალიზმის იდეების მიმზიდველმა ძალამ, რომელიც ბოლო მსოფლიოში განუწყვეტლივ იზრდება, — ჩვენი დროისათვის დამახასიათებელმა ამ მოვლენებმა თვალწინაღა ცხადყო ლენინის წინასწარგანჭვრეტა, რომ საბჭოთა რუსეთში სოციალისტური გარდაქმნები გავლენას მოახდენენ მსოფლიო ისტორიის მეორე მსვლელობაზე.

დიახ, ათასჯერ მართლები იყვნენ საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი, როცა მოიშორეს კაბიტულანტი მოწეწუნები, რომლებიც მოუწოდებდნენ უარეყო სოციალისტური „ულტრა“ საიდუმლო მასალები არ გამოექვეყნებინათ 1980 წლამდე და არ მიეცათ გასაცნობად ისტორიკოსებისათვის.

„ფანტომების“ — აგრესორს

● ვაშინგტონი, 30 ივნისი. (საკდესი). შეერთებულ შტატებმა დაიჭერა ისრაელისათვის „ფანტომის“ ავიაბომბანადგურებელ-ბომბდამშენების მიწოდება, რომლებიც შარშან სეტემბერში მიიკიდეს ტელ-ავივს. 50 თვითმფრინავის მიწოდება დამთავრდება ივლისში ნაცვლად ოქტომბრისა, როგორც წინათ იყო დაგეგმილი. ამას იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმირებულ წრეებს.

პენტაგონის მოხელეებს ნაბრძანები აქვთ პიტყვა არ დაძრახონ ამ საკითხზე.

ზრდიან რაკეტულ ძალას

● ბონი, 30 ივნისი. (საკდესი). ამ ბოლო დროს შეერთებული შტატებიდან დასავლეთ გერმანიაში გადმოიყვანეს რაკეტული ჯარების კიდევ მთელი რიგი ქვეგანაყოფები, რომლებსაც განალაგებენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების აეროდრომებზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამრიგად, საერთო რიცხვი ამერიკის სარაკეტო ბატარეებისა, რომლებიც დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზეა, უკვე 54-ს აღწევს.

ჰ. ვილსონი — პარტიის ლიდერი

● ლონდონი, 30 ივნისი. (საკდესი). ჰაროლდ ვილსონი, რომელმაც დაკარგა პრემიერ-მინისტრის პოსტი ამასწინანდელ პარლამენტის არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის დამარცხების შედეგად, გუშინ კვლავ ერთხმად აირჩიეს ლეიბორისტული პარტიის ლიდერად პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სხდომაზე.

დანაშაულობანი და ძალადობა

● ბონი, 30 ივნისი. (საკდესი). ამჟამად 100 ათასზე მეტი ვიეტნამელი დამწყვდეულია საკონცენტრაციო ბანაკებში, რომლებიც კამბოჯის ხელისუფლებამ შექმნა. ამის შესახებ „ფრანკფურტერ ალგემაინი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ კამბოჯის ტერიტორიაზე შეეყენა ნაციონალ-დემოკრატიული ჯარების [illegible] ძალადობა.

ამერიკის სეკანალეს წინააღმდეგ

● კარაკასი, 30 ივნისი. (საკდესი). ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში ვენესუელის წარმომადგენელმა გარსია ბუსტალოსმა გააკრიტიკა ამ ორგანიზაციის საქმიანობა, რომელსაც არ იწონებენ ხალხის ფართო მასები. ვენესუელის დელეგატმა მოუწოდა კონტინენტის ქვეყნების ხალხებს გაერთიანდნენ, რათა წინააღუდგნენ ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენას.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

გაავრცელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულმა სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გავრცელა ტექსტი მემორანდუმისა, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა მიიღო სრულიად ევროპის თათბირის მოწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბრძოლო მოწოდება

ჯონ გოლანის გამოსვლა

ლონდონი, 29 ივნისი. (საკდესი). პარტიის აღმასკომის სხდომაზე გამოვიდა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჯონ გოლანი, რომელმაც მშრომელთა ფართო მასებს მოუწოდა გაერთიანდნენ კონსერვატიული მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც „მორნინგ სტარში“ გამოქვეყნებული ცნობა მოწმობს, მან თქვა, რომ საჭიროა მთელი პროგრესული ძალები გაერთიანდნენ შემდეგი პროგრამის გარშემო: გააძლიერონ ბრძოლა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ იხოლოჩინეთში; ოპოზიცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიყიდვისადმი, მოითხოვონ თათბირის მოწვევა ევროპის უშიშროების საკითხებზე; გააძლიერონ ბრძოლა რასიზმის წინააღმდეგ; დაიცვან სოციალური ღონისძიებები და იბრძოლონ ფასების ზრდის წინააღმდეგ.

„ჩვენი უსამართლო საარჩევნო სისტემის გამო, — განაცხადა ჯ. გოლანმა, — მივიღეთ კონსერვატიული მთავრობა, რომელიც ამომრჩეველთა უმრავლესობას. — 53.6 პროცენტს — არ სურს“.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის სახელით ჯ. გოლანმა ქვეყნის მთელ მემარცხენეთა პროგრესულ ძალებს წინადადებით მიმართა ერთობლივად განიხილონ კონსერვატორთა წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციისა და გაძლიერების საკითხები.

ე. როჯერსი მოგზაურობს

ვაშინგტონი, 30 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი ორ კვირას იმოგზაურებს სამხრეთ-აღმოს ა ვ ლ ე თ აზიის ქვეყნებში.

მოგზაურობის ოფიციალ ურ ი მიზანი ის არის, რომ მოსაწილეობა მიიღოს სეატოს სამხედრო ბლოკის წევრი ქვეყნების მე-15 სესიაში, რომელიც 1 ივლისს მანილაში გაიხსნება. მთავრობის წრეებში არ მალავენ, რომ ამ თათბირზე მთავარი საკითხი იქნება დახმარება, რომლის გაწევაც შეუძლია სეატოს პნრმეწინა რეგიონისათვის მას შემდეგ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის დაპირების თანახმად კამბოჯიდან ამერიკის ჯარებს გაიყვანენ.

მანილის თათბირის შემდეგ როჯერსი ეწვევა საიგონს, სადაც გამართავს თათბირს ამერიკის აგრესიის მხარეზე ინდოჩინეთის ომში მონაწილე ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებთან, შემდეგ ტოკიოში გაეგზავნება.

როგორც მოელიან, იქ როჯერსმა საკმაოდ დელიკატური ამოცანა უნდა შეასრულოს — იაპონელები უნდა დაარწმუნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იძულებ ული [illegible] ბულია შეზღუდოს ქვეყანაში ია პონის ტექსტილის საქონლის შეტანა. გაეთანხმებულა მოლაპარაკება ორ ქვეყანის შორის ამ საკითხზე წარუმატებლად დამთავრდა.

სამშობლოში გზად მიმავალ როჯერსი ჩამოხდება ლონდონში, სადაც თათბირს გამართავს ახალგაზრდა კონსერვატიული მთავრობის წარმომადგენლებთან. აქ გარაუდობენ, რომ განხილვის დროს შეეხებიან ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის პრობლემებს.

ტერორი ჩილეში

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). ჩილეს მთავრობამ საგანგებო წესები, რომლებიც 27 ივნისს შემოღო სანტიაგოს ცენტრალურ პროვინციაში, გაავრცელა ანტოფაგასტის ჩრდილოეთ პროვინციაზე. როგორც ასოციეიტედ პრესის კორესპონდენტი იუწყება, ამ აქციის საბაბი იყო სტუდენტთა მოელვარების ზრდა რაც შესაძლოა მთელ ქვეყანაში გავრცელდეს. ანტოფაგასტაში გიმიართა სტუდენტთა დემონსტრაცია სანტიაგოს სტუდენტთა მიმართ რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტის ლოზუნგით. ამ დემონსტრაციის გარეკვის დროს დაჭრეს 20-მდე კაცი, 60 დემონსტრანტი დააპატიმრეს.

□

როგორც ოდოვები ქილაში

ბონი, 30 ივნისი. (საკდესი). ბოლო დროს ყოველთა პოლიტიკურმა მარცხმა, კერძოდ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დამარცხებამ სამი მხარის ლანდტაგების ამასწინანდელ არჩევნებში, სადაც ამ ნეონაციისტურმა პარტიამ ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანა, უთანხმოება და კინკლაობა გამოიწვია ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში. ამას მოწმობს ის, რომ გახშირდა პარტიიდან გასვლა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის „აქტივისტებისა“, რომლებიც ამასთანავე თავს ესხმიან და სხვადასხვა ბრალდებას უყენებენ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას.

როგორც გამოირკვა, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილეთა პოსტებიდან გადადგნენ შვარტლენდერი და კლაასი. მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ გადიან ნაციონალ-დემოკრატიული პარტიიდან.

ამავე დროს შვარტლენდერმა და კლაასმა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ფონ ტადენს წაუყენეს ბრალდება, რომ ანორციელებს „რეაქციულ და უპერსპექტივო პოლიტიკას“.

მდგომარეობა კამბოჯაში

პარიზი, 29 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობებიდან ჩანს, კამბოჯის ეროვნული განთავისუფლების ძალები ინარჩუნებენ ინიციატივას საიგონის მარიონეტული ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში. დღეს დილით კამბოჯელმა პატრიოტებმა იერიში მიიტანეს ქვეყნის უდიდეს სამხედრო აეროვოლიმბასა და ტყვეა-წამალის საწყობზე, რომელიც მდებარეობს ლონგვეკში, 40 კილომეტრზე პნომპენის რჩდილოეთით. წუხელ მათ ძლიერი ნაღმსტყორცნის ცეცხლი დაუშინეს ქალაქს სიემრეპს, კომპონგთომსა და კომპონგტიამს. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს პნომპენელი კორესპონდენტი და აღნიშნავს, რომ კომპონგტიამი ერთი იმ მცირერიცხოვან ქალაქთაგანია, რომლებიც მდებარეობენ მეკონგის ნაპირებზე პნომპენსა და ლოსის საზღვარს შორის, რომელსაც ჯერჯერობით კონტროლს უწევენ პნომპენის ხელისუფალნი.

ფრანს პრესის სააგენტოს მეორე კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, რომ ქვეყნის მთავარი ავტომაგისტრალების მეტ ნაწილს ამჟამად კონტროლს უწევენ კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის რაზმები.

უცხოთის საინფორმაციო სააგენტოები გვაცხადებენენ რომ კამბოჯიდან სამხრეთ ვიეტნამი „გაიყვანეს ამერიკის სახმელეთო ჯარები“.

ამერიკელმა ინტერვენტებმა, როცა კამბოჯის ტერიტორიის ტოვებდნენ, ყველაფერი მოსპეს თავიანთ გზაზე: აფეთქეს ხიდები და დანგრიეს გზები, გაიტანეს ან დაწვეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარაგი, გაჩეხეს კაუჩუკის პლანტაციები. „ამერიკელმა ჯარისკაცებმა, — წერს ფრანს პრესის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი, — რომლებიც უკანასკნელ ორ თვეს მონაწილეობდნენ კამბოჯის ოპერაციებში, დატოვეს გაპარტახებული ქვეყანა“.

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. (საკდესი) „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ანტონი ლუისი განმარტავს ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას განაგრძოს კამბოჯის მასიერებული დაბომბვა ამერიკის სახმელეთო ჯარების გაყვანის შემდეგ, და წერს: „ივეი, როგორც ჩანს, ვაპირებთ კამბოჯაში გავიმეოროთ იგივე შეცდომა, რაც მოგვივიდა ვიეტნამში. ჩვენ სრულიად არ გვიჭერს მხარს ხალხი. და მაინც ვაპირებთ გამოვიყენოთ თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, რათა შეეცადოთ დავამარცხოთ მოწინააღმდეგე, რომელიც პარტიზანულ ომს ეწევა. შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ ჩვენ ამ ომს ვიმხედრებთ ხალხს“.

□

კამბოჯა. დანგრეული სახლები, ნახანძრალები, მოსპობილი ნათესები, მშვიდობიან მცხოვრებთა გვამები რჩება იქ, სადაც ამერიკელ აგრესორებსა და მათს მარიონეტებს გაუვლიათ.

სურათზე: სვაირიენგის პროვინციის სოფელ სამრაონგის ნანგრევები. სოფელი პირისაგან მიწისა აღგავა ინტერვენტთა არტილერიის ცეცხლმ.

ფოტო მიკ-საკდესისა.

ვის ემსახურებოდა და ემსახურება ტროცკიზმი

თეორიის საკითხები

მოკლე ექსკურსი ისტორიაში

1938 წლის სექტემბერი... პარიზის გარეუბანი. თამბაქოს კვამლით გაჟღენთილ პატარა ოთახში ოციოდე კაცია. გარედან, ერთი შეხედვით ვეგორეობდა, რომ აქ ტრადიციული შეხვედრაა მეგობრებისა, რომლებსაც ღიდი ხანია არ უნახავთ ერთმანეთი და გადაუწყვეტიათ ისაუბრონ ხხვადასხვა ამბებზე. მაგრამ, როცა დაიშალნენ, განაცხადეს, რომ დაარსეს... „ინტერნაციონალი“.

ასე ბასაოცრად ადვილად და უბრალოდ ტროცკისტებმა, რომელნიც პარიზში ხუთი ქვეყნიდან იყვნენ ჩასულნი და რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავის თავს ბერძ ა კრავენ არავის არ წარმოადგენდა, აუწყეს ქვეყანას, რომ იშვა „IV ინტერნაციონალი“.

„დამფუძნებელი კონფერენციის“ დამუშავებულ შემდეგ მათ გამოაქვეყნეს კომუნიკე, რომელშიც „კონსპირაციის ინტერესების“ გამო, რაც ვერაფრით ვერ აიხსნებოდა, მისი მოწყობის ადგილად დასახელებულ იქნა არა პარიზი, არამედ შვეიცარიის ქალაქი ლოზანა.

არასოდეს და არსად არ გამოქვეყნებულა მონაწილეები იმ ტროცკისტების საერთო რიცხვის შესახებ, რომლებიც მათს „ინტერნაციონალში“ შეეფიდნენ. ეს ცნობები ღრმა საიდუმლოებით არის მოცული. ტროცკიმ, თავისი არქივი ჰარვარდის უნივერსიტეტს რომ უანდერძა, პიროდად დაქვა, რომ IV ინტერნაციონალის“ საიდუმლო მასალები არ გამოექვეყნებინათ 1980 წლამდე და არ მიეცათ გასაცნობად ისტორიკოსებისათვის.

ეს ასეთ ფარულობას ბევრი [illegible] ბულ ინ ტ ერ ეს ი ფ ა ნ ტ ა ზ ი ებ ს [illegible] ... ეს ... ...

წერილები რედაქციას

ერთი საჩივრის კვალდაკვალ

პირველი ნაგიჯები

ყვარლის რაიონის სოფელ კუჭატნიდან რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც ავტორები ამხილებდნენ სოფლის ნაკლოვანებებს, კერძოდ, იმას, რომ ახალგაზრდებს არ უქმნიან გონივრული გართობა-დასვენების პირობებს. ნაკვეთიც კი არ გამოუყვიეს სპორტული მოედნის მოსაწყობად. სოფელში არ არის ხაშუალო სკოლა და ბავშვებს ქალაქში ან დაშორებულ სოფლებში უხდებათ წასვლა სწავლის გასაგრძელებლად და სხვ.

რედაქციის დავალებით ჩავედი ყვარლის რაიონში. წერილში მოყვანილი ფაქტები შევამოწმე რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. დათუაშვილთან და სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარე ვ. ბეუკლიშვილთან ერთად. ფაქტები ადგილზე შემოწმებით დადასტურდა. სოფელ კუჭატანში მოვიწვიეთ სოფლის აქტივის თათბირი, სადაც განვიხილეთ საკითხი წერილში აღძრული მოთხოვნების მოსაგვარებლად.

ახალგაზრდობის სურვილის და საშართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილების საქმეს დიდი ყურადღებით მოეკიდნენ კომეუურნეობის თავმჯდომარე ლ. ონოფრიშვილი, სასოფლო საბჭოს მეუშაკები, დეპუტატები, შედგეგები. თათბირის დამთავრებისთანავე მოიწვიეს რაიონის მიწათმოქმედი და სოფლის განაპირას გამოყვეს ნაკვეთი სტადიონის, ფრენბურთის, კალათბურთისა და საჭიდაო მოედნების მოსაწყობად. კოლმეურნეობამ გამოიყო თანხა სპორტული იარაღების შესაძენად. სპორტკავშირის რაისაბჭომ სოფელს მიაბარა ფიზკულტურის ინსტრუქტორი და საჭირო ბების მიხედვით გამოუყოფს მწვრთნელებს. დაისახა ღონისძიება აგრეთვე სოფლის კლუბის მშენებლობის უახლოეს დროში დამთავრებისათვის, რომლის მშენებლობაც კარგა ხანია მიმდინარეობს.

რაც შეეხება საშუალო სკოლის გახსნას სოფელ კუჭატანაში, ეს ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ, როგორც რაიაღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ დ. ლაფაჩიშვილმა გვაცნობა, მიღებულია გადაწყვეტილება მომავალი სასწავლო წლიდან სოფელ სანავარდოში გაიხსნას საშუალო სკოლა. ეს სოფელი კუჭატანს მხოლოდ 1,5 კილომეტრით არის დაშორებული და საესებით დაკმაყოფილებს კუჭატნელ ბავშვებსაც.

ა. თვალიაშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პუტილებელია ხანგრძლივი მივლინებები?

რეპლიკა

გულდასმით წავიკითხე „ბრავდაში“ დაბეჭდილი მნიშვნელოვანი ბუნებრივი ხასიათის ხანგრძლივი მივლინებებისა და მბიძგავების თაობაზე. -ეგი სამართლიანად ეკრძალა ამ მანკიერ პრაქტიკას.

ჭიათურის მარგანეშენის ტრესტის ტექნიკური მომარაგების კანტორის საქონლისმცოდნედ ვმუშაობ 1957 წლიდან. ხე-ტყის მასალა და ლითონყანსტრუქციების ჩვენს ტრესტს მომწოდებლები უნდა უგზავნიდნენ ირუუტსკიდან, კრასნოიარსკიდან, სვერდლოვსკიდან, ნოვოსიბირსკიდან, დონბასიდან, მაგრამ მომწოდებლები დროულად არ გზავნიან სამშენებლო მასალებს, მშენებლობა კი ფერხდება.

ასეთ ვითარებაში ტრესტის ხელმძღვანელობა იძულებულია გაგზავნოს ხანგრძლივ მივლინებებში, რათა შევასრულოთ მბიძგავის როლი, დავაჩქაროთ მასალების გამოგზავნა.

პირადად მე ყოველ კვარტალში თვეზე მეტს ორიულ მივლინებაში ვიმყოფები. მიმდინარე წლის მარტ-აპრილში 48 დღე დავყავი კრასნოიარსკში და ძლივს გამოვეხსენი ოცი ვაგონი ხე-ტყეკრასნოიარსკიდან ჩვენი ირკუტსკის ოლქის შალაევის ხე-ტყის ბაზაში, მაგრამ იქ უარი მითხრეს ხე-ტყის დატვირთვაზე — თქვენი ფონდი დაიკარგაო. ჩემს მივლინებაზე კი გარკვეული თანხა უშედეგოდ დიხარჯა, ძირითად სამუშაოს მოვცდი.

ახლაც ირკუტსკში მგზავნიან. ოვეზე მეტი იქ უნდა დავრჩე, მოვწყალ წარმოებასაც და ოჯახსაც.

თუ მომწოდებელ-ბომმარაგებელი ორგანიზაციების ყველა რგოლი გამართულად იმუშაებს, მაშინ საჭირო როდი იქნება ხანგრძლივი მივლინებები, „მბიძგავთა ინსტიტუტი“, რითაც მოზრდილი თანხები დაიზოგება.

ეს ხაკითხი ახალი როდია, მაგრამ ჯერჯერობით მაინც გადაუწყვეტელია.

გ. კუტალაძე,
ჭიათურის მარგანეშენის ტრესტის საქონლისმცოდნე.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

დამნაშავე — პასუხისგებაში

„კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო მამხილებელი წერილი, რომელის ავტორი ნ. ხახიაშვილი გვწერდა გარდაბნის რაიონში ამიერკავკასიის მეფრინველეობის ზონალური საცდელი სადგურის მშენებელ — მთავარ-ინჟინერი მიხეილ როიტერის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ.

მამხილებელი წერილი ადგილზე შეისწავლა „კომუნისტის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა. გამოირკვა, რომ მეფრინველეობის ზონალური საცდელი სადგურის მშენებელი — მთავარ-ინჟინერი მ. როიტერი სზაფიროდა დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ. ბიუროს პარტიული სხჯელი დაადო ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკასა და ამიერკავკასიის მეფრინველეობის საცდელი სადგურის დირექტორებს ვ. ყორეოლიანს და გ. ჯულუხაძეს ადრე გასამართლებული მ. როიტერის მთავარი ინჟინერის თანამდებობაზე შეუმოწმებლად მიღებისა და მის მიმართ უყონტროლობისათვის.

ამიერკავკასიის მეფრინველეობის საცდელი სადგურის მთავარი ინჟინერი მ. როიტერი განთავისუფლებულია სამუშაოდან და მასალები მისი დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ გადაეცა რაიონის პროკურატურას.





დღეს თბილისში გასტროლებს იწყებს ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრი

კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა

იური გენინი.
ვოლგოგრადის თეატრის მთავარი რეჟისორი.

თეატრის დასი თითქმის ყოველ წელიწადს მიემგზავრება საგასტროლოდ. ჩვენს ხელოვნებას იცნობენ ჩრდილოეთელები ლენინგრადელები, კიეველები, ტაშკენტელები. მოხდა ისე, რომ თბილისში ჩამოსვლას ვერ ვახერხებდით და ამიტომ ცნობას იმის შესახებ, რომ ჩვენს თეატრალურ სეზონს საქართველოს დედაქალაქში დავამთავრებთ, თეატრის მთელი კოლექტივი დიდი სიხარულით შეხვდა. ეს განწყობილება გაბედნიერებულია რამდენიმე ფაქტორით და მთავარი ის გახლავთ, რომ ყველა ხელოვანს სურს ოსტატობის გამოცდა მომთხოვნი და გემოვნებიანი აუდიტორიის წინაშე, როგორიც არის თბილისელი მაყურებელი. ამასთან ერთად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი თეატრის სცენაზე რამდენიმე სეზონის მანძილზე წარმატებით იდგმებოდა ქართველი კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის ოპერეტა „შუსანიშნავი სამეული“ და იგი მხოლოდ მაყურებლის კი არა, არამედ შემოქმედებითი დასის ერთ-ერთ საყვარელ სპექტაკლად იქცა. ყოველივე ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, არ არის საკვირველი, რომ თბილისელებთან შეხვედრა გვწყურიოდა.

თბილისში ცამეტი სახელოვნების სპექტაკლი ჩამოვიტანეთ.

რეპერტუარის ნახევარზე მეტი საბჭოთა ავტორების ნაწარმოებებია და უმთავრესად ეძღვნება თანამედროვეობას, ჩვენს სიხამდვილეს. მათ შორის, ჩემი აზრით, უნდა გამოვყოთ მუსიკალური კომედია „გვეკითხება გმირი ქალი“, კომპოზიტორმა ვ. ბასნერმა, რომელსაც ჩემი დასასიათება არ სჭირდება, ე. გალპერინასა და ი. ანეგალიმხანოვა, ა. კუზმინი, ს. მიხლინა, ი. როდნოი...

რა თქმა უნდა, ეს სახელები თბილისელებს ჯერჯერობით ოპერეტის ეუბნებიან და მით უკეთესი, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

მაგ ასე: ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრი იწყებს გასტროლებს თბილისის ბაკარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში.

— გელით სპექტაკლებზე, მეგობრებო!

ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი თბილისში.
ფოტო ლ. გოგოსიანი.

სასიამოვნო შეხვედრა

ი. მილუშკინი.
ვოლგოგრადის თეატრის მთავარი დირიჟორი, რსფსრ დამსახურებული არტისტი

საქართველო მდიდარი მუსიკალური ტრადიციების რესპუბლიკაა და ამიტომ გასაგებია ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც გრძნობენ ჩვენი თეატრის წევრები თბილისში გასტროლების დაწყებისას.

თქვენსკენ გულით მოგვეხარიდა, მით უმეტეს, რომ თბილისში თეატრი პირველად ჩამოდის და ჩვენი სურვილია, რომ ამ გაცნობამ სიხარული მოუტანოს თბილისელ მაყურებელს და ჩვენ კი შემოქმედებითი სიამოვნება განვიცადეთ ნოს. მწამს, რომ ასეც იქნება. თქვენს სტუმართმოყვარეობაზე ბევრი გვსმენია და ახლა დავრწმუნდით კიდეც. ასეთი გულითა შეხვედრა, რომელიც გაგვიმართა თბილისის მიწაზე საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებრიობამ, უფრო მეტს გვავალებს ჩვენ, სტალინგრადელთა თეატრს. თქვენ ცხოვრობთ ულამაზეს მხარეში და ჩვენი სურვილია ასეთივე ლამაზი იყოს ჩვენი შეხვედრები საგასტროლო სპექტაკლებზე.

დიდი ინტერესი

აკ. შანიძე.
თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ჯერ ჩვენს დედაქალაქში გასტროლებს იწყებს ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრი. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ინტერესი სტუმრების ხელოვნებისადმი დიდია, ეს გასაგებია. ისინი ხომ ზალლინგრადის წმიდა მიწიდან ჩამოსულნი, ბევრ ადგილას ყოფილნი, ბევრ ადამიანს გაეცნენ, ბევრ ადამიანს ჩამოიტანეს ყველაფერი საუკეთესო, რაც ამ ბოლო წლებში შეუქმნიათ... ჩვენი მაყურებელი თვალში არ დარჩება და ღირსეულად შეაფასებს მათს ხელოვნებას. თბილისის მუსიკალური თეატრის კოლექტივის სახელით ვუსურვებთ ვოლგოგრადელებს გამარჯვებას. დე ისე ეგრძნონ თავი საქართველოში, როგორც შინ, რადგანაც ისინი ჩვენი სასურველი სტუმრები არიან.

მამ ასე, დღეს ვოლგოგრადელთა გასტროლების პირველი აკორდი.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა

ძველი ქუთაისის სანახებში

ძველი ქუთაისის ტერიტორიის წინასწარი არქეოლოგიური შესწავლის დროს, რომელსაც აწარმოებდნენ ქუთაისის აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლები დირექტორის მ. ნიკოლეიშვილის ხელმძღვანელობით, ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, სახელდობრ ლერმონტოვის შესახვევში № 6 სახლთან, 1959 წელს აღმოჩნდა ქვაში გამოკვეთილი ორი ქანდაკება (50X28 სმ). ქანდაკებები გამოსახავენ ხარის თავს.

ორივე ქანდაკების შედარებითი შესწავლა სავსებით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ორივე შემთხვევაში გამოსახულია ერთი სიუჟეტი — ერთი ხარი კბილებით ღრღნის ახალგაზრდა ქალის ფიგურას, მეორე კი— ჭაბუკისას.

ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ორივე შემთხვევაში გამოსახულია მითიური არსება, ე. წ. მინოტავრი, რომელიც ბერძნულ თქმულებათა მიხედვით ცხოვრობდა კუნძულ კრეტაზე მეფე მინოსის სასახლეში, ე. წ. ლაბირინთში.

მეფე მინოსმა თავისი ვაჟის — ანდროგეოსის მოკვლისათვის ქალაქ ათენის მოსახლეობას მეტად მძიმე ხარკი დააკისრა. ათენელები იძულებულნი ყოფილან თქმულების ერთი ვარიანტის მიხედვით ყოველწლიურად, ხოლო მეორე ვარიანტით — ცხრა წლის განმავლობაში ერთხელ, გაეღოთ საშინელი მსხვერპლი მინოტავრის შესაჭმელად, ვიდრე გმირმა თეზეუსმა მინოსის მეფის ქალიშვილის არიადნეს დახმარებით არ მოკლა მინოტავრი.

ქუთაისის ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნაპოვნი ხარის თავის ორივე ქანდაკება შესრულებულია, როგორც ამას ორივე ნაწარმოების მხატვრული შესრულების მანერა და სტილი დასასტურებს, ერთდროულად და ორივე ქანდაკება გამოსახავს ლეგენდარულ მინოტავრს, რომელსაც ჰქონდა ადამიანის ტანი და ხარის თავი.

წინა აზიის ქვეყნებში, განსაკუთრებით ფინიკიასა და ნაწილობრივ პალესტინაში გავრცელებული ყოფილა ღვთაება მოლოქის კულტი, რომელსაც გამოსახავდნენ ხარისთავიანი ადამიანის სახით.

ამ ღვთაების ბრინჯაოს ქანდაკებას მსგავსებად სწორავდნენ ორივე სქესის ახალშობილ ბავშვებს, რომლებსაც ცეცხლში წყაედნენ ღვთაების წინაშე (დაბადება, ლევიტ. XVIII, 21, III წიგნი მეფეთა XI, 7, იერემია წინ. XXXII, 35, საქმე მოციქულთა VII, 43). ეს საშინელი წესი თუმცა აკრძალა ებრაელთა მეფემ იოსიამ (641—608 წწ. ჩვ. წ-მდე), მაგრამ იგი მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში იქნა საბოლოოდ აღმოფხვრილი.

ქუთაისში აღმოჩენილ ორივე ქანდაკებაზე გამოსახულია მინოტავრი, რომელიც ერთ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, სანსლავს ჭაბუკს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ქალიშვილს, და არა ღვთაება მოლოქი. მინოტავრის გამოსახულების აღმოჩენა ისტორიული კოლხეთის ისეთ თვალსაჩინო ცენტრში, როგორიც იყო ძველი ქუთაისი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას როგორც შემთხვევითი ფაქტი, მას უთუოდ გარკვეული ისტორიული საფუძველი ჰქონდა, რის გამორკვევა შეადგენს ჩვენი ისტორიული მეცნიერების სპეციალურ ამოცანას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნით დათარიღებული კოლხური წარმოშობის უძველესი მონეტების შუაზე გამოსახულია ლომი მთელი ტანით, ხოლო ზურგზე — მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა. ჩვენი აზრით, აღნიშნული ტიპის მინოტავრიან მონეტებს აქვთ გარკვეული სახის ვარიანტები. მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის გამოსახულება ხან ჩაკუნთული ტანისა არის და იდაყვიდან ზემოთ მკლავაწეული, ხან კი იგი უფრო ტანწვრილია და კოხტა მოყვანილობისა, ხოლო ხელი ჩამოშვებული აქვს. ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ მონეტაზე ადამიანის ფიგურა ცალ მუხლზეა დაჩოქილი და სხვებისაგან მეტად განსხვავდება დასვეწილი ფორმით (დ. კაპანაძე, „ქართული ნუმიზმატიკა“, თბილისი, 1969, გვ. 27—29).

კოლხურ მონეტებზე გამოსახული ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა უთუოდ მინოტავრს გამოსახავს, რომლის ფანტასტიკური გამოსახულება კარგად არის ცნობილი კნოსში ნაპოვნი მონეტების ზედაპირზე. მათ ზურგზე კი გამოსახულია ლაბირინთი (ა. ევანსი).

ხარისთავიანი ადამიანის გამოსახულება კუნძულ კრეტაზე, როგორც არქეოლოგიური კვლევის შედეგად ირკვევა, გავრცელებული ყოფილა ე. წ. შუა და მოგვიანო მინოსური პერიოდების მიჯნაზე. აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში დადგენილი იყო ხარისთავიანი ადამიანის გამოსახულების ორი ძირითადი ტიპი. პირველი ჩამოყალიბდა კუნძულ კრეტაზე ფრესკებსა და ბეჭედზე, ხოლო მეორე — ბრინჯაოს ფიგურებში. ეს ორივე ტიპი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდა. ბრინჯაოს ფიგურებზე ადამიანი ჩაცმულია ხალათში, ფეხზე ეცვა ბოტასები, ხელებში ეჭირა ფარი, ხოლო ფიგურა ბრინჯაოს ფიგურებზე ბოლომდე ბრტყელია, ფიგურა ფრესკებზე ბრტყელ ფიგურებზე ბევრ ადგილას ფიგურა

ᲤᲚᲘᲢᲘᲤᲚᲝᲑᲘᲗ იზრდება ჯანმრთელობის კერათა ქსელი შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე. სურათზე: ახალი სანატორიუმი „კოლხიდა“ გაგრაში.

ფოტო ი. ᲛᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოჭიდავეთა დიდი სტარტი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — „პრაღა“ — მონრეალი— ტორონტო—ედმონტონი — ასეთი მარშრუტით გაემგზავრნენ 29 ივნისს ჩვენი ქვეყნის კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები კანადაში მსოფლიოს პირველობაზე.

4-დან 6 ივლისამდე პაექრობა ექნებათ კლასიკურ მოჭიდავეებს, ხოლო ორი დღის შემდეგ ბრძოლაში ჩაებმებიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. ისევე, როგორც ყოველთვის, ჩვენს გუნდებს ფავორიტებად თვლიან და წარმატებას უნინასწარმეტყველებენ.

ეი ვინ დაიკავებს კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას წონითი კატეგორიების მიხედვით — მინსკელი ვ. ზუბკოვი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. ბაკულინი (ალმა-ათა), მსოფლიოს ჩემპიონი რ. კაზაკოვი (ტაშკენტი), მოსკოველი ი. ზაიცევი ან ალმაათელი ვ. ტოპოროვი, მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი რ. რურუა (თბილისი), მსოფლიოს ჩემპიონი ვ. იგუმენოვი (მოსკოვი), ალმა-ათელები ა. ნაზარენკო და ევროპის ჩემპიონი ვ. რეზანცევი, მსოფლიოს ჩემპიონი ნ. იაკოვენკო (დონის როსტოვი) და ლენინგრადელი ა. როშჩინი.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის ჩემპიონობისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებენ — ევროპის ჩემპიონი რ. დმიტრიევი (ჩიტა), მახაჩყალელები ა. ნასრულაევი და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ა. ალიევი, თბილისელი გ. ყვარელაშვილი, მახაჩყალელი ნ. ნასრულაევი, თბილისელი ნ. ხოხაშვილი, ევროპის ორგზის ჩემპიონი ი. შახმურადოვი (მახაჩყალა), ევროპის ექს-ჩემპიონები მოსკოველი გ. სტრახოვი და კიეველი ვ. გულიუტკინი და მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიური ასპარეზობათა ორგზის ჩემპიონი ა. მედვედი (მინსკი).

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲐ „ბ“ კლასის მეორე ზონის პირველი ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში. ეი მათი შედეგები:

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „სულორი“ (ვანი) 5:0, „კახეთი“ (თელავი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1, „კოლხიდა“ (ფოთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:2, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 6:0, „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) — „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) 1:1, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) 1:1, „ცემენტი“ (ნოვოროსისკი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ტორპედო“ (ვისკი) 2:2, „სპარტაკი“ (სარანსკი) — „სპარტაკი“ (რიაზანი) 1:1.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ

უიმბლდონის ტურნირზე

ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘᲡ ტრადიციული ტურნირი ჩოგბურთში სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია.

ქალთა წყვილების ასპარეზობაში საბჭოთა დუეტმა — მოროზოვამ და იზობაიტისმა დამარცხება განიცადეს ამერიკელ ჩოგბურთელებთან კაზალსთან და კინგთან შეხვედრაში 4:6, 4:6. შერეულ წყვილთა ასპარეზობაში მოროზოვამ და მეტრეველმა მოუგეს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს უილიამსსა და ლოიდს 9:7, 5:7, 6:2, ხოლო იზობაიტისმა და კოროტკოვმა — ინგლისელ ჩოგბურთელებს ცოლქმარ კიორტისებს 3:6, 6:4, 7:5.

კალათბურთის ფართან

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა საკუთარ მოედანზე დაამარცხა ტორტუს „კალევი“ 81:78 (45:38).

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ერომანეთის შეხვდნენ ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბისა და კაუნასის „ჟალგირისის“ გუნდები. წარმატება კაუნასელ კალათბურთელებს ხვდათ 91:71 (42:28).

ᲒᲣᲜᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში პაექრობა ჰქონდათ რიგის არმიის სასპორტო კლუბისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს. თბილისელები აღმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 79:72.

ლიდერთა ჯგუფში არიან ცსკა, კიევის „სტროიტელი“ და ლენინგრადის „სპარტაკი“.



„საქხილბოსტანვაჭრობა“ ინფორმაციას

ახალი ფასები 1 ივლისიდან

ᲨᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის 1 ივლისიდან, როგორც „საქხილბოსტანვაჭრობის“ სამმართველოს უფროსმა ა. ციციშვილმა ინფორმაცია, ახალი, მკვეთრად გაიაფებული ფასები ექნებათ ოთხეულ ბოსტნეულზე.

ეი როგორ გაიყიდება ბოსტნეული „საქხილბოსტანვაჭრობის“ მაღაზიებში (კილოგრამობით):

	ძველი ფასი	ახალი ფასი
ახალი კაბიდორი	60 კაპ.	25 კაპ.
ახალი კიტრი	30 „	12 „
ახალი კომბოსტო	20 „	10 „
მწვანე ხახვი	10 „	8 „
ახალი საადრეო კარტოფილი	25 „	15 „



ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ საქმეთა დარბაზში (პლეხანოვის გამზირი № 89, VI სართული) მოწყობილია გამოფენა

ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის საჯაროო განხილვისათვის.

მასალების გაცნობა შეიძლება ყოველდღე 2 ივლისიდან 12 ივლისამდე (14 საათიდან 17 საათამდე).

შემოსულ წინადადებათა და მოსაზრებათა განხილვა მოხდება 12 ივლისს 14 საათზე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ᲪᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲥᲣᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲠᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

საქართველოს ᲡᲡᲠ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1970-71 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲤᲐᲠᲛᲝᲛᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ:

ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა გეოლოგია და დაზვერვა (ქართული სექტორი); 2. ნავთობისა და გაზის საბადოთა გეოლოგია და დაზვერვა (ქართული სექტორი); 3. ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია (ქართული და რუსული სექტორები); 4. მარგი წიაღისეულის საბადოთა დაზვერვის ტექნოლოგია და ტექნიკა (ქართული სექტორი).

ᲡᲐᲛᲗᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. სამარკშეიდერო საქმე (ქართული სექტორი); 2. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართული სექტორი); 3. მარგი წიაღისეულის გამდიდრება (ქართული სექტორი); 4. მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა (ქართული სექტორი); 5. სამთო მანქანები და კომპლექსები (ქართული სექტორი); 6. სამთო საქმეშოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული და რუსული სექტორები).

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. ელექტრული სადგურები (ქართული სექტორი); 2. ელექტრული სისტემები და ქსელები (ქართული და რუსული სექტორები); 3. სამრეწველო საწარმოთა და ქალაქების ელექტრომომარაგება (ქართული და რუსული სექტორები); 4. თბოელექტროსადგურები (ქართული და რუსული სექტორები); 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული სექტორი); 6. ელექტრომძრავ და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. შავი ლითონების მეტალურგია (ქართული სექტორი); 2. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (ქართული და რუსული სექტორები); 3. ლითონთმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 4. ლითონების წნევით დამუშავება (ქართული სექტორი); 5. სამშენებლო წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული და რუსული სექტორები); 2. სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები); 3. სამშენებლო ნაკეთობათა და კონსტრუქციების წარმოება (ქართული სექტორი); 4. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია (ქართული სექტორი); 5. წყალმომარაგება (ქართული და რუსული სექტორები).

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. ვაგონმშენებლობა და საგაგონო მეურნეობა (ქართული სექტორი); 2. რკინიგზების მშენებლობა, ლიანდაგი და სალანდაგო მეურნეობა (ქართული სექტორი); 3. საავტომობილო გზები (ქართული სექტორი); 4. ხიდები და გვირაბები (ქართული და რუსული სექტორები); 5. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრიფიკაცია (ქართული და რუსული სექტორები); 6. რკინიგზების ექსპლოატაცია (ქართული სექტორი); 7. საავტომობილო ტრანსპორტი (ქართული და რუსული სექტორები).

ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ-ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. ლითონთა ფიზიკა (ქართული სექტორი); 2. ნახევარგამტარები და დიელექტრიკები (ქართული სექტორი).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

1. ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა (ქართული სექტორი); 2. გამომყვანი წარმოების მოწყობილობა და ქიმიური ტექნოლოგია (რუსული სექტორი); 3. სატრიკოტაჟო წარმოება (ქართული სექტორი); 4. სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 5. ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 6. ქსოვა (ქართული სექტორი); 7. ბეწრის ცხობის, მაკარონის და საკონდიტრო წარმოებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 8. საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია (ქართული სექტორი).

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღების წესები იგივეა, რაც სხვა კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის.

დღის სტაციონარზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ მაპროფილებელ საგნებში:

სამთო, გეოლოგიურ, ენერგეტიკულ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, სამშენებლო, სატრანსპორტო და მეტალურგიული ფაკულტეტის სპეციალობა „საშემდეგლო წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია“: 1. მათემატიკა (წერა და ზეპირი), 2. ფიზიკა (წერა).

არქიტექტურის ფაკულტეტზე შემსვლელნი: 1. ხატვა, 2. ხატვა, 3. მათემატიკა (ზეპირი), 4. ფიზიკა (წერა).

ქიმიური და კვების ტექნოლოგიის, მეტალურგიული ფაკულტეტების ყველა სპეციალობაზე (გარდა საშემდეგლო წარმოების მოწყობილობის და ტექნოლოგიის სპეციალობისა) და ქუთაისის ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე შემსვლელნი: 1. ქიმია (წერა), 2. მათემატიკა (ზეპირი), 3. ფიზიკა (წერა).

საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე შემსვლელნი: 1. ფიზიკა (წერა და ზეპირი), 2. მათემატიკა (წერა და ზეპირი).

ყველა შემსვლელი აბარებს წერით გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო რუსულ სექტორზე შემსვლელნი — რუსულ ენასა და ლიტერატურაში, როგორც არამაპროფილებელ საგანში.

ოქრის (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ანდა საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, სახელდობრ:

საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტის სპეციალობებზე შემსვლელნი — ფიზიკა (წერა და ზეპირი).

არქიტექტურის სპეციალობაზე შემსვლელნი — ხატვა.

ყველა სხვა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე შემსვლელნი — მათემატიკა (წერა და ზეპირი).

ამ საგანში გამოცდის „ხუთიანი“ ჩაბარებისას როგორც წერაში, ისე ზეპირში, ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში მისაღები გამოცდების ჩაბარებისაგან. ხოლო „ოთხის“ ან „სამის“ მიღებისას აბარებენ გამოცდებს ყველა სხვა შესაბამის საგანში.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას პირადად შემსვლელის მიერ ინსტიტუტის რექტორის სახელზე ფაკულტეტის, სპეციალობისა და სექტორის ჩვენებით (განცხადების დაწერილი ფორმის ბლანკებს თქვენიან სათანადო დეკანატები). განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);

2. დასასაითება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული სამუშაო ადგილიდან, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, სწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სკოლის ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საბჭოთა არმიიდან, სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, თუ მათ იმსახურეს არანაკლებ ორი წლისა, სტაჟად ეთვლებათ სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დრო. გ) აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა. განცხადებების მიღება იწარმოებს: 1. დღის განყოფილებაზე (წარმოებისაგან მოწყვეტით) 1 აგვისტომდე, ხოლო გამოცდები 10-დან 20 აგვისტომდე. 2. საღამოს განყოფილებაზე (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ) 5 აგვისტომდე, ხოლო გამოცდები 7-დან 12 აგვისტომდე.

ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲬᲘᲜᲔᲑᲐ 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ.

ტექნიკუმში შემოსვლის მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 4. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ 3×4 სმ.), 5. მუშაობის სტაჟის მქონე პირებმა დადასტურებული ამონაწერი შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან უნდა წარმოადგინონ პირადად: 1. პასპორტი ან დაბადების მოწმობა, 2. სამხედრო ვალდებულებმა სამხედრო ბილეთი, ხოლო წვევამდელებმა მიწერის მოწმობა.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲚᲘᲗ, ᲡᲢᲐᲪᲘᲝᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲓᲦᲔᲛᲘᲗ ᲡᲐᲠᲗᲝ ᲬᲘᲜᲐᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲠᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

საბჭოთა ვაჭრობის თბილისის ტექნიკუმი

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1970-71 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡ�წᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ

დღის განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე შემდეგ სპეციალობებზე:

1. საქმლის მომზადების ტექნოლოგიის (I-II კურსებზე); 2. საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (I-II კურსებზე); 3. საქონელმცოდნეობისა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (I-II კურსებზე); 4. სამაცივრო-საკომპრესორო მანქანებისა და დანადგარების (II კურსზე); 5. საბოლოლტრო აღრიცხვის (II კურსზე); 6. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მანქანებისა და მოწყობილობის (II კურსზე).

პირველ კურსზე მიიღებიან რვაწლიანი განათლების, ხოლო **მეორე კურსზე** — საშუალო განათლების მქონე პირები.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი ასაკის განუსაზღვრელად შემდეგ სპეციალობებზე:

1. საქმლის მომზადების ტექნოლოგიის (I-III კურსებზე); 2. საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (III კურსზე); 3. საქონელმცოდნეობისა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის (III კურსზე); 4. საბოლოლტრო აღრიცხვის (III კურსზე).

პირველ კურსზე მიიღებიან რვაწლიანი, ხოლო **III კურსზე** საშუალო განათლების მქონე პირები.

მისაღებ გამოცდებს პირველ კურსზე შემსვლელნი აბარებენ რვაწლიანი სკოლის პროგრამის მიცულობით, ხოლო **II და III კურსებზე** საშუალო სკოლის პროგრამით. განცხადებების მიხედვით უგამოცდოდ ჩაირიცხება ფრიადოსნების 60 პროცენტი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს:

I კურსზე საქმლის მომზადების ტექნოლოგიის, საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

II და III კურსებზე საქმლის მომზადების ტექნოლოგიის, საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ქიმიაში (ზეპირი).

II და III კურსებზე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მანქანებისა და მოწყობილობის სპეციალობებზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ქიმიაში (ზეპირი).

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღებული იქნება როგორც მისაღები გამოცდების შედეგები, ისე განათლების დოკუმენტში ნაჩვენები ნიშნების საშუალო არითმეტიკული.

კონკურსგარეშე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და აქვთ სამედიცინო ან მონათესავე დაწესებულებებში მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, აგრეთვე საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი.

დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით. მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ სასწავლებელში მუშაობის სტაჟით ჩარიცხულნი ვალდებულნი არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის დედანი, წინაადმდეგ შემთხვევაში გარიცხულ იქნებიან სასწავლებლიდან.

სწავლის ხანგრძლივობა I კურსზე —3 წელი და 6 თვე, ხოლო II კურსზე — 2 წელი და 6 თვე.

სასწავლებელში შემსვლელს დროს უპირატესობით სარგებლობენ დღის განყოფილებაზე გოგონები, ხოლო დაუსწრებელზე ის პირები, რომლებიც მუშაობენ ვაჭრობის სისტემაში. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე — შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი); 2. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და კოლმეურნეობის წევრებისათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან. შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მიერ, ხოლო ის პირები, რომლებიც მოვლინებული არიან სწავლისათვის საეკონომიკო და სხვა ორგანიზაციებიდან დასწრებულ განყოფილებაზე, აგენტნ მომართვიან დადგენილ ფორმა № 1-ს; 3. ავტობიოგრაფია; 4. დაბადების მოწმობა (პასპორტი წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად); 5. სამხედრო ბილეთი სამხედროვალდებულთათვის ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად; 6. ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3×4); 7. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ტექნიკუმის დირექცია აცხადებს იგრეთვე, რომ იგი გადავიდა ახალ კეთილმოწყობილ შენობაში. რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტიპის სასწავლო კაბინეტებითა და ლაბორატორიებით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმში ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 4 საათამდე.

მისამართი: ლენინის რაიონი, მეორე პიონერის ქ. № 73, ლოტკინის გორა, ავტობუსი № 30, ტელ. 66-14-23.



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1970-71 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ
ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘ ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს ფერშლის სპეციალობით.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

პირველ კურსზე (ქართული და რუსული სექტორი) მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერა). 2. მათემატიკა (ზეპირი). 3) რუსული სექტორს: 1. რუსული ენა (წერა-კარნახი), 2. მათემატიკა (ზეპირი).

II კურსზე (ქართული და რუსული სექტორი) მიიღებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ გამოცდებს ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, სახელდობრ:

საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტის სპეციალობებზე შემსვლელნი — ფიზიკა (წერა და ზეპირი).

არქიტექტურის სპეციალობაზე შემსვლელნი — ხატვა.

ყველა სხვა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე შემსვლელნი — მათემატიკა (წერა და ზეპირი).

ამ საგანში გამოცდის „ხუთიანი“ ჩაბარებისას როგორც წერაში, ისე ზეპირში, ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში მისაღები გამოცდების ჩაბარებისაგან. ხოლო „ოთხის“ ან „სამის“ მიღებისას აბარებენ გამოცდებს ყველა სხვა შესაბამის საგანში.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას პირადად შემსვლელის მიერ ინსტიტუტის რექტორის სახელზე ფაკულტეტის, სპეციალობისა და სექტორის ჩვენებით (განცხადების დაწერილი ფორმის ბლანკებს თქვენიან სათანადო დეკანატები). განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);

2. დასასაითება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული სამუშაო ადგილიდან, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, სწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სკოლის ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საბჭოთა არმიიდან, სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, თუ მათ იმსახურეს არანაკლებ ორი წლისა.

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ საქმეთა დარბაზში (პლეხანოვის გამზირი № 89, VI სართული) მოწყობილია გამოფენა

ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის საჯაროო განხილვისათვის.

მასალების გაცნობა შეიძლება ყოველდღე 2 ივლისიდან 12 ივლისამდე (14 საათიდან 17 საათამდე).

შემოსულ წინადადებათა და მოსაზრებათა განხილვა მოხდება 12 ივლისს 14 საათზე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲠᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ქ. ᲤᲝᲗᲘᲡ Გ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ 1970-71 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ
ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ: 1. ტექნიკოსებს სოფლის ჰიდრო-ელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, საირიგაციო და დამშრობ სისტემთა ძიებითი და საპროექტო სამუშაოებისათვის, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და სატუმბო სადგურებისათვის, 2. ტექნიკოს-მექანიკოსებს ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაციისათვის, 3. ტექნიკოს მშენებლებს სამრეწველო და სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობისათვის (დღის და საღამოს დაუსწრებელ განყოფილებებზე), 4. ტექნიკოს-ტექნოლოგებს წყალსადენ-კანალიზაციის განხრით, 5. ტექნიკოს-ელექტრიკოსებს სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობებისათვის, 6. საბუღალტრო აღრიცხვის კვალიფიციურ ბუღალტრებს სამრეწველო, სამშენებლო, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებისათვის. მიიღებიან სამუშაო სკოლის კურსდამთავრებულები. სწავლების ხანგრძლივობა ორი წელი (დღის და საღამოს განყოფილებები), 7. გემის ძაღლოვანი დანადგარების ექსპლოატაცია (საღამოს დაუსწრებელი განყოფილება), 8. ტელემექანიკისა და ავტომატიკის